N121/19
22.02.18

„საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის N695/19 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2014 წლის 6 ნოემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება N620/9 „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ". აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე თვეში იმ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც ამავე გადაწყვეტილებით ისინი ცნობილ იქნა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად, ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურებაზე დაუდგინდათ ზედა ზღვრული ტარიფი 370 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე).

კომისიის 2015 წლის 16 ივნისის N 351/19 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში. აღნიშნული ცვლილებით დადგინდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიერ საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების კვეთის დიამეტრის (კაბელის კვეთის ფართობი) მიხედვით დადგენის წესი. ამ წესის მიხედვით საკანალიზაციო არხში კაბელის განთავსებისას საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტი შეადგენს 40%-ს.

კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის N 695/19 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში. აღნიშნული ცვლილებით დადგინდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიერ საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების კვეთის დიამეტრის (კაბელის კვეთის ფართობი) მიხედვით დადგენის წესი. ამ წესის მიხედვით, საკანალიზაციო არხში კაბელის განთავსებისას საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტი შეადგენს 65%-ს.

კომისია აღნიშნავს, რომ 2017 წლის 20 დეკემბრის N5678/05-08 წერილით კომისიას მიმართა სს „სილქნეტმა" და ითხოვა „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის N695/19 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობა. სს „სილქნეტი" აღნიშნულ მოთხოვნას საფუძვლად უდებს იმ მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებას, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის N 695/19 გადაწყვეტილებამ.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის მოთხოვნის საფუძველზე სს „სილნეტმა" 2018 წლის 21 თებერვლის N825/05-08 (კომისიაში რეგისტრაციის N6/978-18) წერილით კომისიაში წარმოადგინა ინფორმაცია კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის N 695/19 გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით გაანგარიშებული სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებიდან მოსალოდნელი მისაღები საპროგნოზო შემოსავლებისა და შესაბამისად გაწეული/გასაწევი დანახარჯების შესახებ.

სს „სილქნეტის" მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სატელეკომუნიკაციო-საკანალიზაციო არხებიდან მისაღები ყოველწლიური შემოსავლები მოიცავს, როგორც საკუთარი

მიზნებისათვის გამოყენებულ საკანალიზაციო არხების ტრანსფერულ ხარჯებს/შემოსავლებს, ასევე იჯარით გაცემულ საკანალიზაციო არხებიდან მისაღებ შემოსავლებს. შესაბამისად, კომპანიის საპროგნოზო შემოსავლები ჯამში შეადგენს 4 406 568 ლარს. რაც შეეხება დანახარჯებს, სავარაუდო ზიანის გაანგარიშების მიზნებისათვის, სს „სილქნეტის“ მიერ გამოყენებული იქნა ის ფინანსურ/ეკონომიკური მონაცემები, რომლის საფუძველზეც კომისიამ მიიღო 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 გადაწყვეტილება. სს „სილქნეტის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომპანიის დანახარჯები (ხარჯები და კაპიტალის ღირებულება) წელიწადში შეადგენს 4 976 654 ლარს. შესაბამისად, დანახარჯები შემოსავლებს აღემატება 570 085 ლარით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფინანსური ზარალი.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ 2017 წლის 18 დეკემბერს გამოცხადდა ტენდერი NGA და NGN ქსელებით მათ შორის, საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით მომსახურების მიწოდების ტარიფების მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების „LRIC“ მოდელის შემუშავებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე. აღნიშნული ტენდერის ფარგლებში კომისია სათანადო გამოცდილების მქონე საკონსულტაციო კომპანიის დახმარებით ბაზრის მონაწილეებთან და დაინტერესებულ პირებთან შესაბამისი კონსულტაციების წარმოების საშუალებით შეიმუშავებს მომავალზე ორიენტირებული გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების LRIC მოდელს, რომლის საშუალებითაც სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე ტარიფი დადგინდება ეფექტური ოპერატორის მიერ გაწეული დანახარჯების საფუძველზე. შესაბამისად, LRIC მოდელით სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე ტარიფის გაანგარიშებმადე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებისთვის საკანალიზაციო არხში სხვადასხვა დიამეტრის კაბელების გატარების ტარიფების გაანგარიშება უნდა განხორციელდეს კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის N695/19 პირველი პუნქტით განსაზღვრული გაანგარიშების წესის დადგენამდე არსებული ფორმულით კერძოდ, საკანალიზაციო არხში სხვადასხვა დიამეტრის კაბელის გატარების ტარიფის გაანგარიშების მიზნებისთვის საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტი ტოლი უნდა იყოს 40%-ის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ძალადაკარგულად იქნას ცნობილი კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის №695/19 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და LRIC მოდელით სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებზე ტარიფის გაანგარიშებამდე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებისთვის საკანალიზაციო არხში სხვადასხვა დიამეტრის კაბელების გატარების ტარიფების გაანგარიშება, ისევ განხორციელდეს კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის N695/19 პირველი პუნქტით განსაზღვრული გაანგარიშების წესის დადგენამდე არსებული წესით, კერძოდ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების ტარიფი უნდა დადგინდეს კაბელის კვეთის ფართობის მიხედვით; საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების ტარიფის დადგენის მიზნებისათვის საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტი ტოლი უნდა იყოს 40 პროცენტის, შესაბამისად განსათავსებელი კაბელის კვეთის (კაბელის გარე დიამეტრის გათვალისწინებით) ჯამური ფართობის შეფარდება საკანალიზაციო არხის კვეთის ფართობთან (შიდა დიამეტრის გათვალისწინებით) ტოლი უნდა იყოს 0.40-ს. საკანალიზაციო არხში გასატარებელი კაბელის მომსახურების ტარიფი უნდა დადგინდეს შემდეგი ფორმულით:

$$\frac{S1}{S * 0.40} * 370\ (\text{ლარი})$$

სადაც,

S -100 მმ-იანი არხის ფართობია (7850 მმ^2),

S1-გასატარებელი კაბელის ფართობი, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით S1=π x R^2“

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა მე-2 პუნქტის და 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 ოქტომბრის №695/19 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი;

2. კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილების 7.4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების ტარიფი უნდა დადგინდეს კაბელის კვეთის ფართობის მიხედვით; საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების ტარიფის დადგენის მიზნებისათვის საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტი ტოლი უნდა იყოს 40 პროცენტის, შესაბამისად განსათავსებელი კაბელის კვეთის (კაბელის გარე დიამეტრის გათვალისწინებით) ჯამური ფართობის შეფარდება საკანალიზაციო არხის კვეთის ფართობთან (შიდა დიამეტრის გათვალისწინებით) ტოლი უნდა იყოს 0.40-ს. საკანალიზაციო არხში გასატარებელი კაბელის მომსახურების ტარიფი უნდა დადგინდეს შემდეგი ფორმულით:

$$\frac{S1}{S * 0.40} * 370\ (\text{ლარი})$$

სადაც,

S -100 მმ-იანი არხის ფართობია (7850 მმ^2),

S1-გასატარებელი კაბელის ფართობი, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით $S1=\pi \times R^2$“

3. დაევალოს სს „სილქნეტს“, შპს "ახალი ქსელებს" და შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“, შპს „მაგთიკომს“, შპს „სისტემ ნეტს“ და შპს „ახტელს“ 2018 წლის 15 აპრილამდე კომისიაში გამოსაქვეყნებლად წარმოადგინონ განახლებული ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა) და მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა განსაზღვრონ არანაკლებ 2 წლის ვადით;

4. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილს).

კომისიის თავმჯდომარე	**კახი ბექაური**
კომისიის წევრი	**ვახტანგ აბაშიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**